**ირმა კარანაძე**
**ფილოლოგიის დოქტორი**
**სსიპ აჭარის მუზეუმის, ა. კახიძის სახელობის**
**აჭარის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი**
**Irma Karanadze**
**Doctor of Philology**
**Researcher at the A. Kakhidze Adjara**
**Archaeological Museum (LEPL Ajara Museum)**

# „კულტურული სივრცეების შექმნის აქტუალური საკითხები მე-20 საუკუნის 20-40- იან წლებში აჭარაში"

# „Current Issues in the Creation of Cultural Spaces in Adjara in the 1920-s-1940-s of the 20-th Century"

DOI: https://doi.org/10.52340/gmg2025.01.17

**აბსტრაქტი**

1920-40-იან წლებში აჭარა საბჭოთა კავშირის ნაწილია და მასზე მოქმედებს საბჭოთა კულტურის პოლიტიკა. ბათუმი როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქალაქი ყალიბდება არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ კულტურულადაც. ამ პერიოდში მიმდინარეობს კულტურული დაწესებულებების შექმნა, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა იდეოლოგიის გავრცელებას და აჭარის რეგიონული თვითმყოფადობის განვითარებას. საბჭოთა კულტურული სივრცეები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რეგიონული იდენტობის ჩამოყალიბებაში.მათ საშუალება ჰქონდათ ხელი შეეწყოთ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის, რაც დღევანდელ დღესაც მნიშვნელოვანია. წარსულის კულტურული გამოცდილების შესწავლა გვაძლევს საფუძველს რეაბულიტაციისა და განვითარებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურული სივრცე; კულტურულ- საგანმანათლებლო საქმიანობა; კულტურული მემკვიდრეობა; საბიბლიოთეკო საქმე; ქოხ-სამკითხველოები;მატერიალურ- ტექნიკური ბაზა; კულტურულ- საგანმანათლებლო დაწესებულებები.

**Abstract:** In the 1920s–1940s, Adjara was part of the Soviet Union and was subject to Soviet cultural policy. Batumi, as an important transit city, was shaped not only economically but also culturally. During this period,

cultural institutions were established, which facilitated the spread of Soviet ideology and the development of Adjara's regional identity. Soviet cultural spaces played a significant role in the formation of regional identity. They also contributed to the preservation of cultural heritage, which remains important today. Studying the cultural experiences of the past provides a foundation for rehabilitation and further development.

**Keywords**: cultural space; cultural and educational activities; cultural heritage; librarian ship;library affairs; reading huts; hut-libraries; material and technical base; cultural and educational institutions.

1920–1940 წლები აჭარისთვის მნიშვნელოვანი ისტორიული და კულტურული გარდატეხის პერიოდს წარმოადგენს. ამ ეტაპზე რეგიონი საბჭოთა სისტემაში ინტეგრირდა, რამაც ძირეულად შეცვალა კულტურული პოლიტიკა, საგანმანათლებლო მიდგომები და საზოგადოებრივი სივრცეების ფუნქციონირება. კულტურული სივრცეების შექმნა განიხილებოდა როგორც ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი.

კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა აჭარაში გასაბჭოებამდე ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1921 წლის დასაწყისში აქ ერთი მუზეუმი, სამი ბიბლიოთეკა, ერთიც მუშათა სახლი დ ექვსი კინოთეატრი („ილუზიონი “, „პალასი“, „ტრიუმფი“, „აპოლი“, „ბოგატირი“, „ლირა“) მოქმედებდა. ბიბლიოთეკებში წიგნებისა და ჟურნალების ძალზე მცირე ეგზემპლარები ინახებოდა. ცხადია, მკითხველებიც მცირერიცხოვანი ჰყავდათ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაც დაბალ დონეზე იდგა.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანიზაციისათვის 1921 წ. ბათუმის საოლქო რევკომთან შეიქმნა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის მთავარი სამმართველო, რომელიც 1922 წლიდან განათლების კომისარიატის დაქვემდებარებაში გადავიდა. მისი ამოცანა იყო მოსახლეობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმართვა. სახკომსაბჭოს 1922 წ. 8 აპრილის დეკრეტით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ნაციონალიზაცია გამოცხადდა და ისინი სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა, მაგრამ აჭარის ხელისუფლებამ პირველ წლებში მათი სრული ამოქმედება ვერ შეძლო, ვინაიდან საჭირო ფინანსური და მატერიალური საშუალება არ გააჩნდა. ამიტომ ისინი იჯარით გასცეს 1926 წლამდე.( ასხგსმაპ.დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1921-1925 წწ. ბათუმი, 1975წ . თავი მეცამეტე-განათლება,მეცნიერება,კულტურა და რელიგია აჭარაში 1921-1990 წლებში) .

1921–1923 წლებში აჭარაში გაიხსნა თხუთმეტი საკლუბო დაწესებულება (სამხედრო კლუბების გამოკლებით). მათ შორის, ბათუმში – ცხრა, ხოლო მაზრებში – ექვსი კლუბი. კლუბებს თავისებური სახელწოდებაც შეარქვეს. ბათუმში მოქმედი ცხრა კლუბიდან სამი იყო მუშათა, თითო ბერძნული, აჭარელი მუსლიმანი მუშებისა და გლეხების, საბჭოთა მუშაკების, კომკავშირელთა, მასებთან კავშირ-

ურთიერთობისა და რკინიგზელთა. 1924 წ. ბათუმში გაიხსნა აგრეთვე აჭარელ ქალთა კლუბი. 1922 წ. პირველი კლუბები დაარსდა ქობულეთსა და ჩაქვში. მომდევნო წელს საკლუბო დაწესებულებები გაიხსნა აჭარისწყლის, ქედისა და ხულოს სამაზრო ცენტრებში, სოფელ მახინჯაურში. ქობულეთში მოეწყო აგრეთვე აჭარელ ქალთა კლუბი.

მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აჭარის სახელმწიფო და ბათუმის ეროვნული მოძრაობის მუზეუმები. აჭარის სახელმწიფო მუზეუმი 1908 წელს დაარსდა, რომელიც თავდაპირველად სასკოლო იყო. 1912 წელს გადაკეთდა საქალაქო, ხოლო 1925 წელს -აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმად.1953 წლიდან ცნობილია აჭარის სახელმწიფო მუზეუმაის სახელწოდებით. 1913-1936 წლებში მუზეუმის დირექტორად მუშაობდა მისი დამაარსებელი ნიკოლოზ გომანი XX საუკუნის 20-იან წლებში მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა არასტაბილური იყო. მას 1925 წლამდე საკუთარი შენობაც არ ჰქონდა. განთავსებული იყო ბათუმის საქალაქო საბჭოს შენობის პირველ სართულზე და ეკავა ხუთი პატარა ოთახი. მუზეუმში მოწყობილი იყო ოთხი განყოფილება:სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ-სამრეწველო, პედაგოგიური (საერთო-საგანმანათლებლო) და მხარეთმცოდნეობითი. მას ჰქონდა აგრეთვე სახელოსნო და ლაბორატორია. ცხადია, მუზეუმი ექსპონატების მიხედვით ღარიბულად გამოიყურებოდა. 1920 წელს მუზეუმში 965 ექსპონატი აღირიცხა. გასაბჭოების პირველ წლებში დამთვალირებელთათვის კვირაში გამოყოფილი იყო სამი დღე. 1921 წლის 1 აპრილიდან მუზეუმი დაათვალიერა 2010 -მა ადამიანმა. 1922 წელს– 5131, 1923 წელს. – 7704, ხოლო 1924 წელს. – 11188 ადამიანმა.

| წელი | დამთვალიერებელი(რაოდენობა) |
|---|---|
| 1921 | 2010 |
| 1922 | 5131 |
| 1923 | 7704 |
| 1924 | 11188 |

მაშინ მუზეუმს სამტატო განრიგით ორი მუშაკი ემსახურებოდა(გამგე და დამლაგებელი).ექსპონატებისა და დამთვალიერებელთა რაოდენობის გაზრდის გამო,1925 წელს მუზეუმი გადაიტანეს სამხედრო ტაძარში, ხოლო 1930 წელ სახაზინო შენობაში. ეს უკანასკნელი აგებული იყო 1888 წელს. 1957 წელს მეორე სართული დააშენეს და მისი ფართი 3000 კვ.მ-მდე ანუ (2-ჯერ) გაიზარდა.1936-1937 წლებში მუზეუმის დირექტორად მუშაობდა ნადიმ ნიჟარაძე. 1938 წლიდან აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს სათავეში ჩაუდგა ხარიტონ ახვლედიანი, რომელიც მას (1989 წლის აპრილამდე) ხელმძღვანელობდა. ხარიტონ ახვლედიანს დიდი დამსახურება მიუძღვის სამუზეუმო საქმის განვითარებაში. დღეს მუზეუმი ატარებს მის სახელს. (აჭარის სახელმწიფო

მუზეუმის არქივი აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მონაცემები). მართალია, 20-იან წლებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ გააჩნდათ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კვალიფიციური კადრები, მაგრამ ისინი საგრძნობ ზეგავლენას მაინც ახდენდნენ მასების აღზრდასა და გათვითცნობიერებაზე. აჭარელ ქალთა კლუბში სამედიცინო, სამართლებრივ, პოლიტიკურ და კულტურულ–საგანმანათლებლო მუშაობასთან ერთად, ჭრა-კერვასაც ასწავლიდნენ. საქალაქო და სამაზრო კლუბებთან ბიბლიოთეკები და ქოხ-სამკითხველოებიც გაიხსნა. 1925 წ. ივნისში აჭარაში ჩვიდმეტი კლუბი, თვრამეტი ქოხ-სამკითხველო და სამი ბიბლიოთეკა ითვლებოდა. ქოხ-სამკითხველოები გაიხსნა მაზრებში, ხოლო ბიბლიოთეკები - ბათუმში. მთავარი წიგნთსაცავი იყო ბათუმის საქალაქო ბიბლიოთეკა, რომელიც გასაბჭოების შემდეგ ცენტრალურ ბიბლიოთეკად გარდაიქმნა. აქ 17362 წიგნი ითვლებოდა. კლუბებთან არსებული ბიბლიოთეკების წიგნების ფონდი 4500 ეგზემპლარს შეადგენდა. მაშინ აჭარაში 127 ათასი კაცი ცხოვრობდა (61 ათასი ქალაქად, 66 ათასი სოფლად). (თავი მეცამეტე-განათლება, მეცნიერება, კულტურა და რელიგია აჭარაში 1921-1990 წლებში). ცხადია, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მომსახურების მას შტაბი და კულტურა ჯერ კიდევ დაბალ დონეზე იდგა. წიგნისადმი დაინტერესებას არ გამოხატავდა მოსახლეობის უმრავლესობა. საგულისხმოა, რომ ქ. ბათუმის ცენტრალურ ბიბლიოთეკას სულ 1500 მკითხველი ჰყავდა, რაც ქალაქის 61 ათასი მცხოვრების ფონზე ძალზე დაბალი მაჩვენებელია. საერთოდ, 20-იან წლებში აჭარის საბიბლიოთეკო დაწესებულებების წიგნებისა და ჟურნალების ფონდი ძალზე ღარიბი იყო. წიგნების უმეტესი ნაწილი მოძველებულად ით ვლებოდა. ამითაც აიხსნება მკითხველთა ნაკლები დაინტერესება. 1926 წ. ბიბლიოთეკებში 35862 წიგნი ინახებოდა. მათგან ქართული – 4990 ცალი (13,9%), რუსული – 29772 (83,6%), სომხური – 884 (2,4%), თურქული – 61 (0,%), სხვა ენებზე – 135 ეგზემპლარი (0,4%). 30-იან წლებში საკლუბო და საბიბლიოთეკო ქსელი შესამჩნევად გაფართოვდა.

1933 წლის ბოლოს აჭარაში აღირიცხებოდა ოცდასამი კლუბი, ექვსი ბიბლიოთეკა, ოცდაცამეტი სამკითხველო და თოთხმეტი იდეოლოგიური კუთხე, რაც საგრძნობლად აღემატებოდა 1925 წ. მაჩვენებელს, მაგრამ მაინც იგი არ იყო საკმარისი მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისათვის. კლუბების და ბიბლიოთეკების უმრავლესობა მოსახლეობას ემსახურებოდა ქალაქ ბათუმში. სოფლად, კულტურული მომსახურების დონე კი, გარკვეული წინსვლის მიუხედავად, კვლავ დაბალი იყო. 1920-იანი წლების დასაწყისში საკლუბო დაწესებულება ფუნქციონირებდა ხელვაჩაურში. 1924 წ. კლუბი გაიხსნა მახინჯაურში, 1929 წ. აჭარისწყალზე. საგულისხმოა, რომ 1933 წ. ბოლოს ოთხ სასოფლო რაიონში მხოლოდ ექვსი კლუბი მუშაობდა. ამ დროისათვის ხულოს რაიონში კლუბები გახსნილი იყო რაიონულ ცენტრსა და უჩამბის სასოფლო საბჭოში, ბათუმის რაიონში – მახინჯაურსა და აჭარისწყალზე. თითო რაიონული კლუბი მოქმედებდა

ქობულეთსა და ქედაში. მასობრივი ბიბლიოთეკები მხოლოდ ქ. ბათუმს გააჩნდა. ქალაქის ექვს ბიბლიოთეკაში 1933 წ. ბოლოს 80840 ეგზემპლარი წიგნი ირიცხებოდა. რაიონებში ძირითადად იხსნებოდა მხოლოდ ქოხ-სამკითხველოები. მაგალითად, 1933 წლისათვის ხულოს რაიონში მუშაობდა ათი ქოხ-სამკითხველო, ქობულეთის რაიონში – რვა, ქედის რაიონში – ოთხი, ხოლო ბათუმის რაიონში ოთხი ქოხ-სამკითხველო. 30-იან წლებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა უმრავლესობას საკუთარი შენობაც კი არ ჰქონდა. ზოგიერთები შეხიზნული იყო გაუქმებული მეჩეთების შენობებსა და დაქირავებულ კერძო სახლებში. კლუბებსა და ბიბლიოთეკების მუშაკების აბსოლუტური უმრავლესობა არაკვალიფიციური იყო, რადგან მცირე ხელფასებისა და ადგილებზე ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების გამო, განათლებული კადრები სოფლად სამუშაოდ ნაკლებად მიდიოდნენ. (თავი მეცამეტე-განათლება,მეცნიერება,კულტურა და რელიგია აჭარაში 1921-1990 წლებში).

1934–1935 წლებში საკლუბო-საბიბლიოთეკო დაწესებულებათა ნაწილობრივი რეორგანიზაცია განხორციელდა.ქალაქად და სოფლად შეიქმნა სანიმუშო კლუბები და ბიბლიოთეკები. სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და კონტროლის გაძლიერების მიზნით, განათლების რაიონულ განყოფილებებში ინსტრუქტორის თითო საშტატო თანამდებობა დაუშვეს. სანიმუშო რაიონულ კლუბებად გადააკეთეს ქედის, ხულოს, ქობულეთის, მახინჯაურის (ბათუმის რაიონი) და ბათუმის მუშათა ცენტრალური კლუბები. ბათუმში გაიხსნა საბავშვო ბიბლიოთეკა, რითაც პირველი ნაბიჯი გადაიდგა საბიბლიოთეკო ქსელის სპეციალიზაციის გზაზე. სანიმუშო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. მათი მუშაობის ფორმები და მეთოდები სამაგალითო უნდა გამხდარიყო სხვებისათვის. მართალია, ამ ღონისძიების შედეგად შესამჩნევად გაუმჯობესდა საკლუბო და საბიბლიოთეკო ქსელის მუშაობის ხარისხი, მაგრამ მას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში ისინი ვერ გახდნენ მეთოდური მუშაობის ცენტრები ( თავი მეცამეტე-განათლება,მეცნიერება,კულტურა და რელიგია აჭარაში 1921-1990 წლებში),

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, კულტურულ-საგანმანათლებლო და წესებულებათა ქსელი საგრძნობლად გაფართოვდა, განმტკიცდა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1925 წელს აჭარაში დაარსებული ბიბლიოთეკისა და ქალთა კლუბის საქ მიანობამ მალე მოიცვა მთიანი აჭარის რაიონებიც. ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა მაჭახლელმა ალთუნ-შაშიკ-ოღლიმ (შაშიკაიშვილი), რომელიც აჭარის ქალთა განყოფილების კლუბს ხელმძღვანელობდა (Второй.., 1925.ნ.ჩელებაძე. ,,განათლება და კულტურა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.“ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები XV ბათუმი - 2021

ხელვაჩაურში პირველი ბიბლიოთეკა 1925 წელს დაარსდა. ეს იყო ახალშენის ქოხ -სამკითხველო (კომახიძე, 2003 წ) 1935-1940 წლებში აჭარაში ფუნქციონირებდა შემდეგი რაოდენობის საკლუბო და საბიბლიოთეკო სივრცეები:

| | 1935 წ. | 1940 წ. |
|---|---|---|
| საკლუბო დაწესებულებები | 38 | 69 |
| მასობრივი ბიბლიოთეკები | 42 | 72 |
| წიგნებისა და ჟურნალების რაოდენობა (ათასი ეგზემპლარი) | 38,4 | 93 |

1901 წელს შეიქმნა მუშათა თეატრი,რომელმაც მოგვიანებით საფუძველი ჩაუყარა ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრს.ბათუმის დრამატული თეატრი დაარსდა 1912 წელს,ხოლო 1921 წელს მიიღო აკადემიური სტატუსი. თეატრს სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა და დირექტორად კოწო დოღონაძე დაინიშნა. თეატრს მხარს უჭერდა ,,სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება“ მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით. თეატრის ფუნქციონირება 1938 წელს შეწყდა. შესაძლოა ეს გამხდარიყო თეატრის დახურვის მიზეზი. ეროვნული და პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე. თეატრის შენობა ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს მე-20 საუკუნის დასაწყისშია აგებული. თავდაპირველად იგი ინჟინრის საკუთრება ყოფილა, და მოგვიანებით 1922 წელს იგი მასწავლებლის სახლს გადაეცა. შენობის გარეგნული იერსახე გამორჩეულია - კამერული პროპორციებით, მოდერნული დეტალებით (მოაჯირებიანი აივანი, მორთული საპირეები - სულ ერთსართულიანი. 1937 წელს თეატრში მოხდა პროფესიული დასის ფორმირებ. 1920-იან წლებში ბათუმში ყალიბდება თოჯინების თეატრის მოყვარულთა წრეები. ბათუმის თოჯინების თეატრი-შენობა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარშია აშენებული.1924 წლიდან გადაეცა მასწავლებელთა სახლს, ხოლო მოგვიანებით აქ გაიხსნა ,,თიკინების სახლი“, სადაც შეიქმნა თოჯინების თეატრი-ბავშვთა პროფესიული სცენა.თოჯინების სპექტაკლების ტრადიცია ბათუმში ჯერ კიდევ XX საუკუნის 20 იან წლებში არსებობდა, როცა თოჯინების მოყვარულთა არაოფიციალური წრეები უკვე ფუნქციონირებდა. როგორც ირკვევა ,1930-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი თოჯინური თეატრის საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვებისა და ახალგაზრდების კულტურულ აღზრდას. თეატრი წარმოადგენდა არა მხოლოდ გასართობ, არამედ იდეოლოგიურ - საგანმანათლებლო სივრცეს. ოფიციალურად, ბათუმის თოჯინების თეატრი - იმ დროის სახელით,,ტიკინების თეატრი“ 1936 წელს დაარსდა. პირველი სპექტაკლი ,,კაკოს ოინები“, რომლის რეჟისორად გრიგოლ კოსტავა სახელდება და რომლის დადგმაში ბავშვები და მოზარდები მონაწილეობდნენ. სპექტაკლები ბავშვებისათვის ქართველ და უცხოელი ავტორების ნაწარმოებების მიხედვით იდგმებოდა. 1937 წელს გაიხსნა ახალი შენობა,სადაც რეგულარულად იმართებოდა კლასიკური და თანამედროვე სპექტაკლები.

თეატრმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა რეგიონში,თუმცა პოლიტიკური გარემოებების გამო 1938 წელს დროებით დაიხურა. მოგვიანებით თეატრმა კვლავ განაახლა მუშაობა,რაც მიუთითებს მის უაღრესად მნიშვნელოვან როლზე. თეატრი მნიშვნელოვან ცენტრად იქცა ქალაქის კულტურული ცხოვრებისთვის და წარმოადგენდა პროფესიული თეატრის გავრცელების მთავარ წერტილს. ხულოს სახალხო თეატრი დაარსდა 1931 წელს იწყებს ფუნქციონირებას. 1931-37 წლებში დაიდგა პირველი სპექტაკლი ,,ანზორი“.

ფასდაუდებელია ხელვაჩაურის მკვიდრთა ღვაწლი ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი აკადემიურ გუნდში. 1928 წელს შეიქმნა ქორეოგრაფიული ჯგუფი, რაშიც განსაკუთრე ბული წვლილი მიუძღვის ცნობილ ქორეოგრაფ ფატმან კობალაძეს. (ნ.ჩელბაძე, 2019:№3)

საბჭოთა პერიოდში ე.წ. „დახურულ“ზონაში მოქცეული რაიონებისთვის, მათ შორის ხელვაჩაურისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მასმედიას, საინფორმაციო საშუალებათა დროულ და ინტენსიურ საქმიანობას. 1932- 33 წლებში გამოდიოდა რაიონული გაზეთები. მოსახლეობაში კულტურულ-იდეოლოგიური მუშაობის საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საინფორმაციო სამსახურებმა. ამ მიზნით აჭარაში 1932 წელს მუშაობდა ოთხი რადიოკვანძი, ზოგ სოფელში კი იყო სატრანსლაციო წერტები. (სდსინ, 2012:595).

1935–1940 წლებში აჭარაში 31 კლუბი და 30 ბიბლიოთეკა გაიხსნა. ამასთან, 1920–1940 იან წლებში იზრდებოდა წიგნებისა და ჟურნალების გამოცემა, რასაც თან ახლდა მკითხველთა რაოდენობის გაზრდა და წიგნიერების დონის ამაღლება. აქედან, 1935–1940 წლებში 2,4-ჯერ გაიზარდა (55 ათასი ეგზემპლარი). კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა უმეტესობა განთავსებული იყო სოფლად. მაგალითად, 1937 წ. სოფლად იყო 45 საკლუბო დაწესებულებიდან 35, ხოლო 22 ბიბლიოთეკიდან - 16. ქოხ-სამკითხველოები გახსნილი იყო კლუბებთან. ქობულეთის რაიონში აღირიცხა 11 კლუბი და 4 ქოხ-სამკითხველო, ბათუმისაში – 9 და 4, ქედისაში – 4 და 3, ხულოს რაიონში – 11 კლუბი და 5 ქოხ-სამკითხველო. (ასხგსმაპ.დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1921-1925 წწ. ბათუმი, 1975წ).

ხელისუფლების დაინტერესება კულტურულ–საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებით არ აიხსნება მხოლოდ მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებისათვის ზრუნვით. პარტიამ ისინი აქცია თავისი იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მთავარ კერებად, განსაკუთრებით - სოფლად. ომამდე აჭარის სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესობა გაიხსნა შესაბამისი მატერიალური ბაზის გარეშე. ასეთი მდგომარეობა მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალებას არ იძლეოდა. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ 1937 წ. იტყობინებოდა,

რომ სოფლად ქოხ–სამკითხველოები კეთილმოუწყობელია. ზოგიერთ მათგანს საკუთარი ბინაც კი არ გააჩნია. ისინი ვერ პასუხობენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

ბათუმის ცენტრალური ბიბლიოთეკა 1937 წ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკად გადაკეთდა და მიენიჭა ერის სასიქადულო შვილის - აკაკი წერეთლის სახელი. 1940 წ. აღნიშნულ წიგნთსაცავს აღრიცხვაზე ჰყავდა 3895 მკითხველი, რაც 2,6-ჯერ აღემატებოდა 1921 წ. მაჩვენებელს.

შესამჩნევი წინსვლა იყო კინომომსახურების სფეროში.1921–1924 წლებში ქ. ბათუმში 3 კინოთეატრი მუშაობდა. სოფლად კინოსეანსებს უჩვენებდნენ მოძრავი კინოდანადგარებით. მაგალითად, 1924 წ. აჭარის მაზრებში 25-ჯერ შეიტანეს კინოსურათები ავტომოძრავი დანადგარებით. 20-იანი წლების მეორე ნახევარში კინოდანადგარები მოაწყვეს ხულოს, ქედისა და აჭარისწყლის სამაზრო ცენტრებში. 1937 წ. აჭარაში მუშაობდა 7 კინოთეატრი (5- ქალაქად და 2 სოფლად), 22 კინოდანადგარი. ეს უკანასკნელი გახსნილი იყო კლუბებთან. 22 კინოდანადგარიდან 14 იყო ხმოვანი, ხოლო 8 - უხმო. ამავე დროს, 17 ავტომოძრავი დანადგარი მუშაობდა (14 ხმოვანი, 3 უხმო). კინოსეანსებზე მაყურებელთა რაოდენობა 691,5 ათას კაცს შეადგენდა.60 1940 წ. აჭარაში აღირიცხა 24 კინოდანადგარი.

აჭარაში 1921-1940- იან წლებში წიგნის გამოცემა მოეწყო ახალ პირობებში. შეიქმნა ახალი და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა გასაბჭოებამდე არსებულ სტამბებს. აჭარაში წიგნის გამოცემის ცენტრად იქცა ჯერ სახელმწიფო გამომცემლობა (სახელგამი) და შემდეგ გამომცემლობა,, საბჭოთა აჭარა“წიგნი გადაიქცა კულტურული განვითარების საშუალებად.ამასთან აჭარაში წიგნის გამოცემოს პოტენციალის ზრდას აფერხებდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და კადრების უკმარისობა, საგამომცემლო საქმის ორგანიზაცია და საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზები. თუმცა, მიუხედავად პრობლემებისა, მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და თვითშეგნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებების მიუხედავად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ომამდე საგრძნობლად ჩამორჩებოდა საქართველოს საშუალო რესპუბლიკურ შეფარდებით მახასიათებლებს. მაგალითად, 1940 წ. აჭარაში ყოველ 10 ათას კაცზე მოდიოდა 3,3 კლუბი, 3,5 ბიბლიოთეკა და 1.1 კინო დანადგარი, 100 კაცზე – 45,6 წიგნი და ჟურნალი. ეს დაბალი მაჩვენებელია საკავშირო და საქართველოს საშუალო რესპუბლიკურ მახასიათებლებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ მშვიდობიანი ცხოვრების დაწყების შემდეგ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მისი როლის ამაღლებისათვის შედარებით უკეთესი პირობები არსებობდა. კულტურული ცხოვრების აღმავლობაში და მხატვრული თვითშემოქმედე მის პოპულარიზაციაში განსაკუთრებული როლი ითამაშა საკლუბო დაწესებულებებთან და ბიბლიოთეკებთან მოქმედი მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისა და წრეების შექმნამ. მდიდარ კულტურულ ტრადიციებზე

აღზრდილმა მოსახლეობამ ქვეყანაში მშვიდობიანობის პერიოდში აქტიურად დაიწყო საკუთარი სახსრებით კულტურული ქსელების გაფართოება. (სდსინ, 2012:592). კულტურული- კერებსა და სივრცეებში მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მიმდინარეობდა. კლუბებთან, ბიბლიოთეკებთან, ქოხ-სამკითხველოებთან, კულტურის სახლებთან შექმნილი იყო ტექნიკური, მხატვრული, სპორტული და სხვა სახეობის წრეები,რომელთა მუშაობაში ჩაბმული იყო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამრიგად: კულტურულ-საგანმანათლებლო კერების დაარსება და მათი საქმიანობა მნიშვნელოვანი წვლილია აჭარის და ზოგადად ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის შესწავლაში. აჭარის რეგიონი ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე წარმოადგენდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს, რომლის მოსახლეობამ გამორჩეულად შეძლო ქართული ტრადიციების პატივისცემა და მენტალობის შენარჩუნება. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში აჭარაში კულტურული სივრცეების შექმნა მიმდინარეობდა რთულ პირობებში , თუმცა ამ პროცესებს მოჰქონდა შედეგები, წარმოადგენდა საზოგადოებრივი გარდაქმნის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და დღემდე ინარჩუნებს ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობას ჩვენი რეგიონის განვითარების საკითხებში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. თავი მეცამეტე- განათლება, მეცნიერება, კულტურა და რელიგია აჭარაში1921–1990 წლებში.

2.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები // აჭარა, ტ. I, ბათ, 2007

3. ბაბილოძე 1975 -გრიგოლ ბაბილოძე. ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან აჭარაში. ბათუმი, საბჭოთა აჭარა“.

4. კომახიძე თ., ხელვაჩაურის (ბათუმის) რაიონი, წ.1, ბათ., 2003

5. კომახიძე თ., ხელვაჩაურის (ბათუმის) რაიონი, წ. 2, ბათ., 2003

6. ნაილა ჩელებაძე. ,,განათლება და კულტურა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.“ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები XV ბათუმი - 2021